



შეზღუდული პასუხისმგებლობის
საზოგადოება
"M-სერვისი"

ინდივიდუალური
ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული
წლისათვის

შინაარსი:

1. ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში
2. დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
3. სრული შემოსავლის ანგარიშგება
4. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
5. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება
6. ფულადი ნაკადების ანგარიშგება
7. ფინანსურ ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის
ანგარიში

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და დამტკიცებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს M-სერვისის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების შედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და კაპიტალში ცვლილებებს მოცემული თარიღით დასრულებული წლისათვის, მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული სააღრიცხვო პოლიტიკის არჩევასა და მათ თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, სააღრიცხვო პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გააანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა საწარმოს ფინანსურ მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე;
- საწარმოს ფუნქციონირებადობის შეფასებაზე და ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაცვით, თუ შეუსაბამო არაა ვარაუდი, რომ პროგნოზირებად მომავალში საწარმოს ფუნქციონირებას საფრთხე არ ემუქრება.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- საწარმოს ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ასახავს საწარმოს გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს-ის მოთხოვნებთან ფინანსური ანგარიშგების შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- საწარმოს აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე;
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების აღმოჩენასა და თავიდან აცილებაზე.

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება საწარმოს დირექტორის მიერ დამტკიცებულია გამოსაშვებად 2025 წლის 27 ივნისს.

პატივისცემით

დირექტორი
თ. დვალისხელი
27.06.2025 წ.





**შპს M სერვისი-ს
დამფუძნებელს**

**დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე
მოსაზრება**

ჩავატარეთ შპს M სერვისის ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს შპს M სერვისის ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტს წარვმართავდით აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის - „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“-ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ შპს M სერვისისგან „ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს“ მიერ გამოცემული „პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის“ იმ ეთიკური ნორმების შესაბამისად, რომლებიც ეხება ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტს საქართველოში; გარდა ამისა, შევასრულეთ ამ ნორმებით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. სხვა ინფორმაცია მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასთან ერთად წარმოდგენილ საქმიანობის მიმოხილვას, მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებასა და ჩვენ მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცენოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ

არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, გვევალება ამ ფაქტის ინფორმირება. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ არ აღმოგვიჩენია ისეთი საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს შპს M სერვისის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტორულ პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტორულ მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერისი შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ შპს M სერვისის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა შპს M სერვისის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის - ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება შპს M სერვისი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, ახსნა-განმარტებებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

ხელმძღვანელობას, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, ხელმძღვანელობას გადავცემთ დოკუმენტს, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული შესაფერისი ეთიკური ნორმები.

დასკვნა სხვა საკანონმდებლო და მარეგულირებელ მოთხოვნებზე

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის (შემდგომ - კანონი) მიხედვით შპს M სერვისი ვალდებულია წარადგინოს მმართველობის ანგარიშგება საქმიანობის მიმოხილვის სახით.

ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ: გავცნოთ ზემოაღნიშნულ მმართველობის ანგარიშგებას; შევამოწმოთ ასახულია თუ არა მმართველობის ანგარიშგებაში კანონით მოთხოვნილი ინფორმაცია; და ჩატარებული პროცედურების საფუძველზე გამოვთქვათ მოსაზრება რამდენად შეესაბამება მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს მმართველობის ანგარიშგება.

ჩვენი ვალდებულებაა ასევე, განვსაზღვროთ არსებითი უზუსტობები და საჭიროების შემთხვევაში მივუთითოთ მათი არსი.

მოსაზრება მმართველობის ანგარიშგებაზე

ჩვენი აზრით, მმართველობის ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტების გათვალისწინებით, შეესაბამება მარეგულირებელი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების თანხვედრილია.

შპს კონსალდი

SARAS-F-469079

გარიგების პარტნიორი

კ. დათიაშვილი

SARAS-A-356681

27.06.2025 წ.

Konstantine
Datashvili
60001012235

Digitally signed
by Konstantine
Datashvili
Date: 2025.06.27
11:36:45

სრული შემოსავლების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

		31.12.2024	31.12.2023
ამონაგები	4	3 757 435	4 009 298
სხვა შემოსავალი	5	284	814
ცვლილებები მარაგსა და დაუმთავრებელ წარმოებაში		(12 372)	(121 361)
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის შეძენა	6	(3 407 121)	(3 718 493)
დაქირავებულთა ხელფასები და გასამრჯელოები		(406 077)	(461 817)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები	7	(192 840)	(175 301)
შეძენილი მომსახურების ხარჯები	8	(174 534)	(213 660)
საგადასახადო ხარჯი	9	(37 657)	(34 793)
სხვა საოპერაციო ხარჯი	10	(17 578)	(192)
მოგება-ზარალი საოპერაციო საქმიანობიდან		(490 460.26)	(715 506)
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	11	290 504	511 083
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	12	(15 762)	(31 661)
საკუთრსო სხვაობის შედეგი		(38 166)	87 014
მოგება-ზარალი დაბეგვრამდე		(253 884)	(149 070)
მოგების გადასახადი		-	-
საანგარიშო პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი		(253 884)	(149 070)

დირექტორი

თ. დვალისვილი



თ. დვალისვილი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

		31.12.2024	31.12.2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	13	5 847 155	5 984 477
არამატერიალური აქტივები	14	1 726	108
ინვესტიციები შვილობილ კომპანიებში	15	64 000	64 000
სულ გრძელვადიანი აქტივი		5 912 882	6 048 585
მიმდინარე აქტივები			
მარაგი	16	8 410	20 782
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	17	538 964	1 032 921
საგადასახადო მოთხოვნები	18	182 024	115 652
ფულადი სახსრები და ექვივალენტები	19	1 907 946	703 607
სულ მიმდინარე აქტივები		2 637 344	1 872 962
სულ აქტივები		8 550 225	7 921 547
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	20	11 500 000	11 300 000
გადაფასების რეზერვი		2 978 826	2 853 012
გაუნაწილებელი მოგება-ზარალი		(7 667 503)	(7 282 719)
სულ საკუთარი კაპიტალი		6 811 323	6 870 293
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე	21	8 832	11 900
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		8 832	11 900
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22	1 726 945	1 032 786
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	23	3 125	6 568
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 730 070	1 039 354
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		8 550 225	7 921 547

დირექტორი

თ. დვალაშვილი



საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება-ზარალი	სულ
ნაშთი 31.12.2022	10 510 000	3 082 773	(7 336 031)	6 256 742
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	790 000	-	-	790 000
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	-	(27 379)	(27 379)
გადაფასების რეზერვის კორექტირება	-	(229 761)	229 761	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(149 070)	(149 070)
ნაშთი 31.12.2023	11 300 000	2 853 012	(7 282 719)	6 870 293
საწესდებო კაპიტალის ზრდა/შემცირება (+;-)	200 000	-	-	200 000
წინა პერიოდის შეცდომის შესწორება	-	(63 507)	58 421	(5 086)
გადაფასების რეზერვის ცვლილება	-	189 321	(189 321)	-
მოცემული პერიოდის წმინდა მოგება-ზარალი	-	-	(253 884)	(253 884)
ნაშთი 31.12.2024	11 500 000	2 978 826	(7 667 503)	6 811 323

დირექტორი



მ. დვალისვილი



ფულადი ნაკადების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის

	31.12.2024	31.12.2023
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვიდან და მომსახურების გაწევიდან მიღებული ფულადი სახსრები	4 390 592	4 418 857
საქონლისა და მომსახურების მომწოდებელთათვის გადახდილი ფულადი სახსრები	(2 918 497)	(4 471 491)
დაქირავებულ პირთათვის და მათი სახელით გადახდილი ფულადი სახსრები	(208 991)	(460 598)
<i>საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული თანხები:</i>	<u>1 263 105</u>	<u>(513 232)</u>
გადახდილი გადასახადები	<u>(193 267)</u>	<u>(178 541)</u>
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	<u><u>1 069 838</u></u>	<u><u>(691 773)</u></u>
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შესაძენად გადახდილი ფულადი სახსრები	(68 683)	(1 092 750)
ძირითადი საშუალებების მიწოდებით მიღებული შემოსავალი	<u>11 183</u>	<u>37 722</u>
საინვესტიციო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u><u>(57 500)</u></u>	<u><u>(1 055 029)</u></u>
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
პარტნიორის შენატანი	150 000	790 000
კაპიტალის შევსება მეკავშირე საწარმოში	(3 600)	(5 900)
სავალუტო საკურსო სხვაობის შემოსავალი	46 987	125 641
სავალუტო საკურსო სხვაობის ხარჯი	<u>(1 385)</u>	<u>(256 884)</u>
საფინანსო საქმიანობისათვის გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები	<u><u>192 002</u></u>	<u><u>652 857</u></u>
ფულადი სახსრების და მათი ექვივალენტების წმინდა ზრდა/შემცირება	<u><u>1 204 340</u></u>	<u><u>(1 093 944)</u></u>
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის დასაწყისისათვის	<u>703 607</u>	<u>1 797 551</u>
ფულადი სახსრებისა და ფულადი სახსრების ეკვივალენტები წლის ბოლოსათვის	<u>1 907 946</u>	<u>703 607</u>

დირექტორი

თ. დვალისვილი
თ. დვალისვილი


სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს M-სერვისი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში. რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2009 წლის 12 თებერვალს და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 202456920, ხოლო იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.# 74.

საწარმოს საწესდებო კაპიტალის 100%-ის მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარეა სააქციო საზოგადოება კომპანია მედინსერვის (ს/ნ 201951094) რომელიც არის სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებულია 1999 წლის 31 აგვისტოს, N2/4-2149; საქართველოში, ქ. თბილისი, დგებუადის #1-ში.

შპს M-სერვისი (შემდგომში საწარმო) რეგისტრაციის დღიდან ახორციელებდა მომსახურებას და სავაჭრო საქმიანობას, ასევე საწარმოს ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენა და რეალიზაცია საბითუმოდ და საცალოდ. საწარმო აღნიშნულ საქმიანობას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ საწარმოებთან თანამშრომლობით. საზოგადოება უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აკრძალული საქმიანობის გარდა, ნებისმიერი საქმიანობა, შესყიდვა, რეალიზაცია, ექსპორტი, იმპორტი და სხვა საქმიანობა რომელიც არ საჭიროებს სპეციალურ ნებართვას, საზოგადოება ამ საქმიანობას ახორციელებს სპეციალური ნებართვის მიღების შემდეგ.

მფლობელი და საბოლოო მაკონტროლებელი მხარის სს კომპანია მედინსერვის (ს/ნ 201951094) გადაწყვეტილებით 2022 წლის 07 თებერვალს რეორგანიზაციის გზით მოხდა 100%-ით ფლობილი შვილობილი საწარმოთა შერწყმა, კერძოდ შპს M-სერვისს (ს/ნ-202456920) შეირწყა შპს ემ ფარმა (202294908), საწარმოთა რეორგანიზაციის შედეგად 07.02.2022 წლიდან ფუნქციონირებას აგრძელებს როგორც შპს M-სერვისი (ს/ნ-202456920), მისამართი: ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.# 74.

შპს M-სერვისი 2024 წელს შვილობილ საწარმო შპს „Georgian Natural Food Company“-ში ფლობდა (ს.ნ-401978008) 100%-იან წილს, პარტნიორის, საწარმოს ხელმძღვანელობის და ჯგუფის მმართველი/მაკონტროლებელი საწარმოს გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს განკარგულების #24157494/8 საფუძველზე 2025 წლის 17 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სუბიექტის გაუქმების შესახებ.

ბიზნეს გარემო საქართველოში

საწარმოს საქმიანობა მომსახურების ნაწილში არ რეგულირდება სპეციალური საკანონმდებლო-ნორმატიული აქტებით. საწარმოს საქმიანობა ხორციელდება საქართველოს ტერიტორიაზე. შესაბამისად, დამოკიდებულია საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებიც წარმოადგენენ განვითარებადი ქვეყნების ბაზრებს. სამართლებრივი, საგადასახადო და მარეგულირებელი ბაზები ჯერ კიდევ ვითარდება და განიცდის სხავდასხვა ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს მათი სრულყოფის მიმართულებით.

შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც საწარმო ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგების შეფასების ვალუტად საწარმო იყენებს ქართულ ლარს. ოპერაციები შეფასების ვალუტისგან განსხვავებულ ვალუტაში განიხილება, როგორც ოპერაცია უცხოურ ვალუტაში.

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქართველოს ეროვნული ბანკის კურსები იყო შემდეგი:

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31-დეკ-2024	31-დეკ-2023
1 USD/GEL	2,8068	2,6894
1 EUR/GEL	2,9306	2,9753

2. მომზადების საფუძველი

შპს M-სერვისის 2024 წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება შედგება სრული შემოსავლის ანგარიშგების, ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების, კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგების, ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ახსნა-განმარტებითი შენიშვნებში მოტანილია დამატებითი ინფორმაცია, რომელიც მოითხოვება მსს ფასს-ით, ასევე მოიცავს 2023 წლის შესადარის ინფორმაციას.

წლიური ფინანსური ანგარიშგების მომზადება ემყარება ფუნქციონირებადობისა და დარიცხვის მეთოდის ძირითად დაშვებებს. საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის პროგნოზირებად მომავალში.

3. არსებითი სააღივხვო პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საწარმოს სააღივხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად.

3.1 შესაბამისობის პრინციპი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით, ანუ დაშვებით, რომ საწარმო განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. სათავე საწარმოს მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადობის დაშვება შესაბამისია საწარმოსათვის.

3.2 ამონაგების აღიარება

გაყიდვებთან დაკავშირებული ამონაგების აღიარება ხდება საქონლის (მომსახურების) მიწოდების და საკუთრების უფლების გადაცემის მომენტში. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, რომელიც შემცირებულია ფასდაკლებებით.

ამონაგები მოიცავს მხოლოდ საწარმოს მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. მესამე მხარის სახელით მიღებული თანხები, როგორიცაა მაგ. დამატებითი ღირებულების გადასახადი, არ მიეკუთვნება ამონაგებს.

საწარმოს შემოსავლების ერთ-ერთი წყაროა საიჯარო შემოსავალი ჩვეულებრივი იჯარის პირობებში. საწარმო საიჯარო შემოსავალს აღიარებს მოგებაში ან ზარალში წრფივი მეთოდით.

3.3 უცხოური ვალუტა

უცხოური ვალუტით წარმოებული ოპერაციები თავდაპირველი აღიარების დროს აისახება სამუშაო ვალუტით, ოპერაციის შესრულების თარიღისათვის სამუშაო ვალუტასა და მოცემულ უცხოურ ვალუტას შორის არსებული სპოტ სავალუტო კურსის მიხედვით.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, უცხოური ვალუტით შეფასებულ ფულად მუხლებს წარადგენს საბოლოო სავალუტო კურსის გამოყენებით.

საწარმო არ ფლობს უცხოურ ქვედანაყოფში დაბანდებული ინვესტიციას. შესაბამისად საკურსო სხვაობები, რომლებიც წარმოიშობა ფულად მუხლებთან დაკავშირებული ანგარიშსწორებისას, ან ფულადი მუხლების გადაყვანის დროს ისეთი სავალუტო კურსით, რომელიც განსხვავდება მოცემულ პერიოდში თავდაპირველი აღიარების დროს, ან წინა პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში გადასაყვანად გამოყენებული სავალუტო კურსისაგან, აღიარდება მოგებაში ან ზარალში იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც წარმოიშობა.

3.4 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით) და შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების ზარალი. გაუფასურების ზარალი არის სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებას შორის, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი განისაზღვრება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას.

3.5 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციებით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წელამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წელამდე პერიოდში და კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები.

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით) და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

3.6 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ღირებულება აქტივად აღიარდება თუ მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელი იქნება აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება.

ძირითადი საშუალების ერთეული, რომელიც აკმაყოფილებს აქტივის აღიარების კრიტერიუმებს, შეფასდება მისი თვითღირებულებით.

აქტივად აღიარების შემდეგ, ძირითადი საშუალებების ერთეული აღირიცხება მისი თვითღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა წდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. ყოველი პერიოდის ცვეთის ხარჯი აღიარდება მოგებაში ან ზარალში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეს თანხა შედის სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში.

ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ცვეთის გაანგარიშებისთვის გამოიყენება შემდეგი განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები	3-5%
მანქანა-დანადგარები	10-20%
საოფისე აღჭურვილობა	10-20%
ავეჯი და მოწყობილობები	10-20%
სატრანსპორტო საშუალებები	10-20%
სხვა ძირითადი საშუალებები	10-15%

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ბოლო წლიური საანგარიშგებო თარიღის შემდეგ მნიშვნელოვნად შეიცვალა ამა თუ იმ აქტივიდან მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის გამოყენების ხასიათი, საწარმო აანალიზებს ცვეთის გამოყენებულ მეთოდს და იმ შემთხვევაში, თუ მიმდინარე პერიოდის მოლოდინები განსხვავებულია, საწარმო შეცვლის აქტივის ცვეთის მეთოდს, აქტივის მოხმარების ახალი სტრუქტურის ასახვის მიზნით. აღნიშნული ცვლილება აისახება, როგორც სააღრიცხვო შეფასების ცვლილება.

საწარმოს საკუთრებაში არსებულ მიწას ცვეთა არ ერიცხება.

ძირითადი საშუალების ერთეულის საბალანსო ღირებულების აღიარება წდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი.

ძირითადი საშუალების ერთეულის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა. შემოსულობა არ კლასიფიცირდება როგორც ამონაგები. შემოსულობა ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, განისაზღვრება, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა და მის საბალანსო ღირებულებას შორის.

3.7 არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი თავდაპირველად ფასდება თვითღირებულებით. არამატერიალური აქტივების შემდგომი შეფასება ხდება დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. ცვეთის დარიცხვა ხდება იმგვარად, რომ აქტივის ნარჩენი ღირებულებით შემცირებული თვითღირებულების განაწილება მოხდეს აქტივის მთელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე 15% განაკვეთით.

3.8 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში. იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო

ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

3.9 მარაგი

საწარმოს მარაგი შეფასებულია მის თვითღირებულებასა და შეფასებით გასაყიდ ფასს შორის უმცირესი თანხით, რომელსაც გამოკლებული აქვს პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯები.

მარაგის თვითღირებულება მოიცავს: მის შეძენასა და გადამუშავებასთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს, ასევე ისეთ დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მის მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისთვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

ყველა მარაგის თვითღირებულების განსაზღვრისათვის საწარმო იყენებს საშუალო შეწონილი ღირებულების ფორმულას.

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აფასებს, გაუფასურებულია თუ არა მისი მარაგი, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუძლებელია მათი საბალანსო ღირებულების სრულად ანაზღაურება. იმ შემთხვევაში, თუ მარაგის ერთეული (ან ერთეულთა ჯგუფი) გაუფასურებულია, საწარმო მარაგს აფასებს მათი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასით და დაუყოვნებლივ აღიარებს გაუფასურების ზარალს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგაბრუნებით) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3.10 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან ანგარიშგების თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის საანგარიშგებო პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი.

მიმდინარე გადასახადის აღიარება ხდება ხარჯის სახით და ჩაირთვება საანგარიშგებო პერიოდის მოგების ან ზარალის თანხაში. 2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ ცვლილებები შეიტანა საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვით საწარმოები ვალდებული არ არიან გადაიხადონ მოგების გადასახადი 2017 წლის 1 იანვრიდან გამომდინარე მოგებაზე მანამ, სანამ არ მოხდება აღნიშნული მოგების განაწილება.

დივიდენდების განაწილების შედეგად წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, როდესაც გამოცხადდა დივიდენდები, მიუხედავად ფაქტიურად გადახდის თარიღისა, ან იმ პერიოდში, როდესაც განხორციელდა დივიდენდების გადახდა.

დივიდენდების განაწილების გარდა გადასახადი გადასახდელია იმ ხარჯებსა და სხვა გადახდებზე, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი ეკონომიკურ საქმიანობასთან - აქტივების ან მომსახურების უფასო მიწოდება და წარმომადგენლობითი დანახარჯები, რაც აღემატება საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრულ მაქსიმალურ თანხას. ყველა გადახდილი აგანსი საწარმოებზე,

რომლებიც რეგისტრირებულნი არიან პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში და სხვა გარკვეული ოპერაციები მსგავს საწარმოებთან, ისევე როგორც ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტ პირებზე გაცემული სესხები, მაშინვე დაბეგვრადია. მსგავსი გადასახადები, სხვა გადასახადებთან ერთად,

პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმის მქონე იურისდიქციებში დარეგისტრირებული საწარმოები-საგან აღნიშნული გადახდილი ავანსის სანაცვლოდ მიღებულ აქტივებზე ან მომსახურებებზე მოთხოვნილი საგადასახადო კრედიტის გამოკლებით, ან ფიზიკურ პირებზე ან არარეზიდენტებზე გაცემული სესხების ამოღების გამოკლებით, აღირიცხება საოპერაციო ხარჯებში ასახულ „გადასახადებში“, და არა მოგების გადასახადში.

საგადასახადო კანონმდებლობით მოგების გადასახადით დაბეგვრის ობიექტად განაწილებული მოგების განსაზღვრის ფაქტი გამორიცხავს გადავადებული მოგების გადასახადისა (აქტივის) და შესაბამისი ხარჯის (შემოსავლის) აღიარებას.

3.11 დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პეროდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

3.12 მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასახდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიანი გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ მის ფასს სტანდარტი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში.

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არაფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება დასაქმებული პირების მიერ მისი ფუნქციის შესრულება.

3.13 შემოსავლები და ხარჯები

შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით და აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში იმ პერიოდში, რომელსაც მათი მოხდენის თარიღი მიეკუთვნება. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება მისი წყაროების მიხედვით. ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

იჯარა კლასიფიცირებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. შესაბამისად საწარმო ხარჯის სახით აღიარებს საიჯარო შემოსავლის მიღებასთან დაკავშირებულ დანახარჯებს, მათ შორის, ცვეთას. იჯარით გაცემული აქტივებისთვის გამოყენებული ცვეთის პოლიტიკა იდენტურია სხვა ანალოგიური აქტივებისთვის გამოყენებული ჩვეულებრივი ცვეთის პოლიტიკის.

3.14 სააქციო კაპიტალი

კომპანიის სააქციო კაპიტალის ფორმირება ხორციელდება აქციონერთა მიერ ფულადი და არაფულადი შენატანების საფუძველზე. ამასთან, არაფულადი შენატანი შეიძლება წარმოდგენილი იქნეს მატერიალური და არამატერიალური ქონებრივი ობიექტების, აგრეთვე სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევის სახით. საწარმოს განთავსებული აქვს ჩვეულებრივი აქციები, რომელთა (თითოეული) ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს.

4. ამონაგები

	31.12.2024	31.12.2023
1 შემოსავალი მედიკამენტების ექსპორტში რეალიზაციით	3 665 762	3 931 921
2 შემოსავალი მედიკამენტების ადგილობრივი რეალიზაციით	299 406	74 852
3 გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა	(232 334)	(254 475)
4 შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	7 542	244 059
5 შემოსავალი სხვა მომსახურებიდან	17 058	12 941
ჯამი:	3 757 435	4 009 298

5. სხვა შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
1 შემოსავალი საიჯარო მომსახურებიდან	-	814
2 სხვა შემოსავალი	284	-
ჯამი:	284	814

6. სასაქონლო - მატერიალური ფასეულობების შეძენა

	31.12.2024	31.12.2023
1 მედიკამენტების შეძენა	3 402 917	3 669 173
2 საწვავი და ა/მ სხვა საქონელი	3 360	13 737
3 სხვა საოფისე და სამეურნეო საქონელი	844	35 583
ჯამი:	3 407 121	3 718 493

შპს M-სერვისში მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდში სულ მარაგის სახით გახარჯულია 3,407,121 ლარის სამკურნალო საშუალებები და მედიკამენტები, ასევე სარემონტო და სამეურნეო საქონელი.

7. ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
1 ძირითადი საშუალებების ცვეთა	192 355	174 816
2 არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია	485	485
ჯამი:	192 840	175 301

8. შეძენილი მომსახურების ხარჯები

	31.12.2024	31.12.2023
1 აუდიტორული მომსახურების ხარჯი	13 000	13 000
2 მიმდ. რემონტის ხარჯები	2 159	6 431
3 რეექსპორტის და ექსპორტის ხარჯი	12 235	13 389
4 მედიკამენტების რეგისტრაციის ხარჯი	30 262	23 462
5 საიჯარო მომსახურების ხარჯი	23 868	50 579
6 სამეურნეო და პიგიენური ხარჯი	5 174	1 173
7 დაზღვევის ხარჯი	18 980	19 404
8 მოსაკრებლები და გადასახდელების ხარჯი	16 750	48 557
9 ბანკის ხარჯი	2 294	2 782
10 კომუნალური ხარჯი	22 821	11 565
11 კომუნიკაციის ხარჯი	3 462	4 310
12 ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი	1 854	7 016
13 სხვა მომსახურების ხარჯი	21 674	11 993
ჯამი:	174 534	213 660

9. საგადასახადო ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
1 ქონების გადასახადი	34 332	30 264
2 მიწის გადასახდი	1 701	1 701
3 მოგების გადასახდი	-	639
4 საპენსიო ფონდის გადასახდელის ხარჯი	1 625	2 188
ჯამი:	37 657	34 793

10. სხვა საოპერაციო ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
1 მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	17 578	-
2 სხვა და სხვა ხარჯი	-	192
ჯამი:	17 578	192

11. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

	31.12.2024	31.12.2023
სს კომპანია მედინსერვი -		
1 კრედიტ ნოტით მიღებული შემოსავალი	290 504	472 029
2 NOVA-ტექნოლოგიებით მიღებული შემოსავალი	-	1 049
3 უსასყილოდ მიღებული მედიკამენტები	-	283
4 შემოსავალი ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან	-	37 722
5 სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	-	-
ჯამი:	290 504	511 083

12. სხვა არასაოპერაციო ხარჯი

	31.12.2024	31.12.2023
1 ძირ. საშუალებების ჩამოწერის ხარჯი	15 762	31 661
ჯამი:	15 762	31 661

13. ძირითადი საშუალებები

	მიწა	დაუმთავრებელი შენიშვნები	შენიშვნა	მანქანა და ნადაგარები	ოფისის აღჭურვილობა	ავტო და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
საწყისი (ისტორიული) ღირებულება								
ნაშთი: 31.12.2022	<u>2 482 650</u>	<u>134 339</u>	<u>832 500</u>	-	<u>52 663</u>	<u>1 856 662</u>	<u>32 400</u>	<u>5 391 215</u>
შემოსვლა	-	847 506	-	-	12 516	12 202	231 951	1 104 175
გასვლა	-	-	-	-	(3 377)	(44 909)	-	(48 286)
ნაშთი: 31.12.2023	<u>2 482 650</u>	<u>981 846</u>	<u>832 500</u>	-	<u>61 802</u>	<u>1 823 954</u>	<u>264 351</u>	<u>6 447 104</u>
შემოსვლა	-	67 959	1 049 805	-	254	469	-	1 118 488
გასვლა	-	(1 049 805)	-	-	(796)	(7 445)	(27 000)	(1 085 046)
ნაშთი: 31.12.2024	<u>2 482 650</u>	-	<u>1 882 305</u>	-	<u>61 260</u>	<u>1 816 979</u>	<u>237 351</u>	<u>6 480 545</u>
აღიარებული ცვეთა								
ნაშთი: 01.01.2022	-	-	<u>55 500</u>	-	<u>23 874</u>	<u>205 652</u>	<u>16 740</u>	<u>301 766</u>
ცვეთის დარიცხვა	-	-	27 750	-	10 654	105 570	31 107	175 080
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	(1 228)	(12 991)	-	(14 219)
ნაშთი: 31.12.2023	-	-	<u>83 250</u>	-	<u>33 300</u>	<u>298 231</u>	<u>47 847</u>	<u>462 627</u>
ცვეთის დარიცხვა	-	-	46 288	-	11 585	103 678	30 804	192 355
ცვეთის ჩამოწერა	-	-	-	-	(557)	(2 135)	(18 900)	(21 592)
ნაშთი: 31.12.2024	-	-	<u>129 538</u>	-	<u>44 328</u>	<u>399 774</u>	<u>59 750</u>	<u>633 390</u>
საბალანსო ღირებულება								
სნდ-31.12.2023	2 482 650	981 846	749 250	-	28 502	1 525 724	216 504	5 984 477
სნდ-31.12.2024	2 482 650	-	1 752 767	-	16 932	1 417 205	177 601	5 847 155

ძირითადი საშუალების პირვანდელი ღირებულება არის აქტივის შესაძენად მისი შეძენის მომენტში გადახდილი (გადასახდელი) ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ეკვივალენტების ოდენობა, ან გაცემული კომპენსაციის რეალური ღირებულება. პირვანდელი ღირებულების შეფასებაში მონაწილეობს ქვემოთ ჩამოთვლილი ყველა ელემენტი:

(ა) მისი ნასყიდობის ფასი, მათ შორის, იურიდიული და საბროკერო მომსახურების ღირებულება, საიმპორტო საბაჟო გადასახადები და შესყიდვის დაუბრუნებადი გადასახადები, ყოველგვარი საფაქრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე;

(ბ) ნებისმიერი დანახარჯი, რომელიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში (მონტაჟი, გაშვება) მოყვანასთან;

(გ) აქტივის დემონტაჟის, ლიკვიდაციისა და ადგილმდებარეობის აღდგენის დანახარჯების თავდაპირველი შეფასება, რისი ვალდებულებაც საწარმომ აიღო შეძენის მომენტში, ან შემდეგში.

ძირითადი საშუალებების ცვეთა დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

საწარმოს რეორგანიზაცია-შერწყმის პერიოდში ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით გადაფასების გზით, რომელიც შპს M-სერვისში ჩატარდა 2020 წლის 25 დეკემბერ, შპს „ემ ფარმაში“ ძირითადი საშუალებების გადაფასება ჩატარდა 2020 წლის 01 ივლისის მდგომარეობით, შერწყმის პერიოდისათვის არსებული ძირითადი საშუალებების საწყისი ღირებულება ფინანსური ანგარიშგების წარდგენისათვის მიღებულია როგორც დასაშვები საწყისი ღირებულება, რეალური ღირებულებით შეფასების შედეგები ასახულია გაუნაწილებელ მოგება-ზარალში.

ამ კრიტერიუმების მიხედვით მსჯელობამ ვერ უზრუნველყო ქონების კლასიფიცირების გარკვევის სიმძნელის მოხსნა, შესაბამისად, ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა გააგრძელოს ქონების აღრიცხვა ძირითადი საშუალებების სახით.

14. არამატერიალური აქტივები

საწყისი (ისტორიული) ღირებულება	საბუღალტრო სააღრიცხვო პროგრამები	სხვა არამატერიალური აქტივები	სულ ჯამი
31.12.2022 წელი	<u>45 773</u>	<u>3 446</u>	<u>49 219</u>
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	-	(485)	(485)
31.12.2023 წელი	<u>45 773</u>	<u>2 961</u>	<u>48 734</u>
შემოსვლა	-	-	-
გასვლა	(35 567)	-	(35 567)
31.12.2024 წელი	<u>10 206</u>	<u>2 961</u>	<u>13 167</u>
აღიარებული ამორტიზაცია			
31.12.2022 წელი	<u>46 296</u>	<u>2 330</u>	<u>48 626</u>
პერიოდის დარიცხვა	-	-	-
გასვლა - ჩამოწერა	-	-	-
31.12.2023 წელი	<u>46 296</u>	<u>2 330</u>	<u>48 626</u>
პერიოდის დარიცხვა	-	-	-
გასვლა - ჩამოწერა	(37 185)	-	(37 185)
31.12.2024 წელი	<u>9 110.54</u>	<u>2 330</u>	<u>11 441</u>
საბალანსო ღირებულება			
31.12.2023 წელი	<u>(523)</u>	<u>630.89</u>	<u>108</u>
31.12.2024 წელი	<u>1 095</u>	<u>630.89</u>	<u>1 726</u>

არამატერიალური აქტივების ამორტიზაცია დარიცხულია წრფივი მეთოდით, აქტივები ბალანსში ასახულია თვითღირებულებიდან აკუმულირებული ცვეთის თანხის გამოკლებით.

15. ინვესტიციები შვილობილ კომპანიაში

საწარმო წილობრივ ინსტრუმენტს ფლობს და აღრიცხავს თვითრიგებულებას მინუს გაუფასურება. შპს M-სერვისი წილს ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოში:

შპს M-სერვისი 2018 წლის 27 აპრილამდე ფლობდა შპს „Georgian Natural Food Company“-ის (ს.ნ - 401978008) 30%-იან წილს. 2018 წლის 27 აპრილს კი მან მოახდინა აღნიშნული საწარმოს კაპიტალის მფლობელი (მოწილე) ფიზიკური პირებიდან წილის 50%-ის გამოსყიდვა და მისი წილი გახდა 80% -ის მფლობელი (ინვესტირებული ღირებულება შეადგენს 64000 ლარს), საწარმოს 20% -ის მფლობელია შვეიცარიული საწარმო შპს „ანაკო ჰოლდინგ გმბხ“. აღნიშნული 20%-ნი წილი გამოსყიდული იქნა 2023 წლის 24 მაისს. ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის შპს M-სერვისი შპს „Georgian Natural Food Company“-ის კონსოლიდირებას არ ახდენს, მისი კონსოლიდირება მოხდება შპს M-სერვისის მაკონტროლებელი საწარმოს სს „კომპანია მედინსერვის (სნ - 201951094) მიერ.

	31.12.2024	31.12.2023
1. შპს „Georgian Natural Food Company“	64 000	64 000
ჯამი:	64 000	64 000

16. მარაგი (სასქონლო - მატერიალური ფასეულობა)

	31.12.2024	31.12.2023
1 მედიკამენტი და სამკურნალო საშუალებები	1 846	1 846
2 სხვა სამეურნეო დანიშნულების საქონელი	6 564	18 937
ჯამი:	8 410	20 782

17. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2024	31.12.2023
1 სავაჭრო მოთხოვნები	622 878	1 147 724
2 საექვო მოთხოვნების რეზერვი	(153 767)	(136 712)
3 მოთხოვნები კაპიტალის შევსებაზე	50 000	-
4 გადახდილი ავანსები	8 320	7 523
5 მოთხოვნები პერსონალის მიმართ	8 832	11 377
6 სხვა მოთხოვნები	2 701	3 010
ჯამი:	538 964	1 032 921

18. საგადასახადო მოთხოვნები

საწარმოს საგადასახადო აქტივი შედგება საანგარიშო პერიოდის ბოლოს არსებული ბიუჯეტის გადასახადების ნეტო ღირებულებისაგან.

	31.12.2024	31.12.2023
1 მოგების გადასახადი	-	(928)
2 საშემოსავლო გადასახადი	(650)	(6 301)
3 ჩასათვლელი დღგ-გადასახადი	103 064	121 544
4 მიწის გადასახადი	(1 701)	(1 701)
5 ქონების გადასახადი	(34 332)	6 381
6 სხვადასხვა გადასახადი (ერთიანი საგადასახადო ნაგარიში)	115 642	(3 342)
ჯამი:	182 024	115 652

19. ფულადი სახსრები და ექვივალენტები

	31.12.2024	31.12.2023
1 ფული საბანკო ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	36 489	689 464
2 ფული საბანკო ანგარიშებზე, ეროვნულ ვალუტაში	1 871 073	14 129
3 ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	385	14
ჯამი:	1 907 946	703 607

20. საწესდებო კაპიტალი

რეორგანიზაციის შედეგად სულ დათქმული კაპიტალი შეადგენს 11,300,000 ლარს და განთავსებული საწესდებო კაპიტალია 10,510,000 ლარი, შპს M-სერვისის მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე 31.12.2022 წლისათვის შეადგენს 790,000 ლარს, ხოლო 2023 წლის განმავლობაში მოხდა 100%-ით შევსება და 31.12.2023 წლისათვის შეადგენს 11,300,000 ლარის განთავსებულ საწესდებო კაპიტალს. 2024 წელს მოხდა საწესდებო კაპიტალის გაზრდა 200,000 ლარით, რომელიც შევსებულია 150,000 ლარით, მოთხოვნა კაპიტალის შევსებაზე შეადგენს 50,000 ლარს.

	შპს M-სერვისი
წესდებით განსაზღვრული - დათქმული საწესდებო კაპიტალი	9902735
დათქმული საწესდებო კაპიტალის გაზრდა-შემცირება	0
საწესდებო კაპიტალის შევსება	607265
31.12.2022	10510000
დათქმული საწესდებო კაპიტალის გაზრდა-შემცირება	0
საწესდებო კაპიტალის შევსება	790000
31.12.2023	11300000
დათქმული საწესდებო კაპიტალის გაზრდა-შემცირება	200000
საწესდებო კაპიტალის შევსება	0
31.12.2024	11500000

21. ვალდებულებები კაპიტალის შევსებაზე

შპს M-სერვისი 2024 წელს ფლობდა შპს „Georgian Natural Food Company“-ის (ს.წ - 401978008) 100%-იან წილს, საწარმოს კაპიტალი 2023 წელს შეავსო 5900 ლარი ფულადი შენატანის სახით, საწარმომ საანგარიშო 2024 წელს კაპიტალი შეავსო 2545 ლარით. საწარმოს ხელმძღვანელობის და ჯგუფის მმართველი/მაკონტროლებელი საწარმოს გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება #24157494/8 - ის საფუძველზე 2025 წლის 17 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სუბიექტის გაუქმების შესახებ.

	31.12.2024	31.12.2023
¹ შპს „Georgian Natural Food Company“	8 832	11 900
ჯამი:	8 832	11 900

22. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
1 სავაჭრო ვალდებულებები	1 716 299	1 018 345
2 დამსაქმებლის საპენსიო გადასახდელის ვალდებულება	2 274	2 541
3 ვალდებულება მეკავშირე საწარმოს მიმართ	8 372	11 900
ჯამი:	1 726 945	1 032 786

23. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

	31.12.2024	31.12.2023
1 სხვა ვალდებულებები	3 125	6 568
ჯამი:	3 125	6 568

24. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

ა) შპს M-სერვისის მაკონტროლებელი ურთიერთობები

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საწარმოს კაპიტალის 100%-ის მფლობელია ერთი იურიდიული პირი, მაკონტროლებელი საწარმო სს „კომპანია მედინსერვი“

საქონლის - მომსახურების შეძენა

	31.12.2024	31.12.2023
1 მაკონტროლებელი საწარმო	3 402 917	3 669 173
2 მაკონტროლებელი საწარმოს კონტროლს ქვეშ მყოფი საწარმოები	1 500	5 600
სულ	3 404 417	3 674 773

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები

	31.12.2024	31.12.2023
1 სავაჭრო მოთხოვნები	386 766	883 495
2 სავაჭრო ვალდებულებები	1 577 139	879 308

ბ) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

დირექტორებისა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	31.12.2024	31.12.2023
1 დირექტორი	41 803	42 688
ჯამი:	41 803	42 688

25. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები არის როგორც ხელსაყრელი, ისე არახელსაყრელი მოვლენები, რომლებიც მოხდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და იმ თარიღამდე, როდესაც ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდება.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომელმაც განაპირობა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების, მათ შორის შესაბამის განმარტებით შენიშვნებში წარმოდგენილი ინფორმაციის დამატებით გამჟღავნება.

შპს „Georgian Natural Food Company“-ის (ს.ნ - 401978008) საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 80 000 ლარს, შვილობილ საწარმოში შპს M-სერვისი ფლობდა 80%-იან წილს, ხოლო 20%-იან წილს ფლობდა შვეიცარიული სააქციო საზოგადოება ანაკო ჰოლდინგი (Anako Holding AG, - CH-170.4.010.860-0; CH-170.4.010.860-0-0a; CHE-338.840.501), აღნიშნული 20%-ნი წილი გამოსყიდული იქნა 2023 წლის 24 მაისს. პარტნიორის, საწარმოს ხელმძღვანელობის და ჯგუფის მმართველი/მაკონტროლებელი საწარმოს გადაწყვეტილებით სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს #24157494/8 განკარგულების საფუძველზე, 2025 წლის 17 იანვარს მიღებული იქნა გადაწყვეტილება სუბიექტის გაუქმების შესახებ.

საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ 2025 წლის 09 ივნისს მაკონტროლებელი საწარმოს სს კომპანია მედინსერვის სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით საწარმოში შეიცვალა დირექტორი მურად გეწაძე და დანიშნულია დირექტორად თამაზ დვალიშვილი.

26. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების M-სერვისის დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 27 ივნისს.



შპს „M-სერვისი“

მ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ი თ ი ა ნ გ ა რ ი შ გ ე ბ ა
საქმიანობის მიმოხილვა

2024 წელი



შპს „M-სერვისი“

ს/კ: 202456920

საწარმო სამეწარმეო რეესტრში რეგისტრირებულია:

შეძლული პასუხისმგებლობის საზოგადოება, 2009 წლის 12 თებერვალს.

იურიდიული და ფაქტობრივი მისამართ:

თბილისი, ლუბლიანას ქ#74.

დირექტორი:

თამაზ დვალიშვილი

ტელ: (+995)599 51 39 40



შინაარსი

1. დირექტორის მიმართვა.
2. თავი I - საქმიანობის ანგარიში: საზოგადოების მართვა, ძირითადი მიღწევები, საქმიანობის განვითარება, შედეგებისა და მდგომარეობის აღწერა, სოციალური და ადამიანურ რესურსებთან მუშაობა.
3. თავი II საზოგადოების განვითარების პერსპექტივები.
4. თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.
5. თავი IV - სოციალური და დასაქმების საკითხები.
6. თავი V - საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.
7. თავი VI - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა.
8. თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.

შპს „M-სერვისი“-ს დირექტორის

მ ი მ ა რ თ ვ ა

ძვირფასო პარტნიორებო,

ფინანსური და მართველობითი ანგარიშის
მომხმარებლებო

წარმოგიდგენთ შპს „M-სერვისი“-ს 2024 წლის მმართველობით ანგარიშს, რომლის ვალდებულება გაგვიჩნდა, კანონმდებლობის მიხედვით. შპს „M-სერვისი“-ს დირექტორად ვმუშაობ 2023 წლიდან.

შპს „M-სერვისი“ წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნებულია და ფუნქციონირებს საქართველოში, რეგისტრირებულია სამეწარმეო და საგადასახადო რეესტრში 2009 წლის 12 თებერვლიდან და წარმოადგენს კერძო სამართლის იურიდიულ პირს. საწარმოს საიდენტიფიკაციო ნომერია 202456920; იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ლუბლიანას ქ.# 74

საწარმოს პარტნიორი და 100%-ის წილის მფლობელია სს საწარმო მედინსერვი, რომელიც არის სააქციო საზოგადოება, რეგისტრირებულია 1996 წლის 19 მაისს, საქართველოში, ქ. თბილისი, დგებუაძის N1-ში.

შპს „M-სერვისი“ (შემდეგში საწარმო) საქართველოში რეგისტრაციის დღიდან ანხორციელებს მომსახურებას და სავაჭრო საქმიანობას, ასევე სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენა და რეალიზაცია საბითუმოდ და საცალოდ. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საზოგადოება სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენას და (სხვა ხასიათის მომსახურებას) რეალიზაციას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობით. საწარმო ასევე ეწევა მომსახურებას, კერძოდ მედიკამენტების რეგისტრაცია, სასაწყობე-საიჯარო, აუტსორსინგის, სარეკლამო და კლინიკური კვლევების მომსახურება.

ფუნქციონირების შედეგად დაგვიგროვდა გარკვეული გამოცდილება. პერსპექტივაში ვგეგმავთ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით მოწყობილი საბაჟო-სატერმინალო და ფსიქოტროპული მედიკამენტების საწყობების ამოქმედებას, რომლის ფუნქციონირება მოხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი სპეციალური ნებართვის მიღების შემდგომ.

დირექტორი:

თამაზ დვალისვილი

თარიღი: 27.06.2025 წ.



თავი I - საქმიანობის ანგარიში:

საზოგადოების მართვა

იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საზოგადოება დაფუძნებულია ერთი პირის მიერ, „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი საერთო კრებაზე განსახილველი და გადასაწყვეტი საკითხები დამფუძნებლის მიერ ერთპიროვნულად განიხილება და მიიღება შესაბამისი გადაწყვეტილება.

საზოგადოების დამფუძნებელ პარტნიორთა რაოდენობრივი ცვლილების შემთხვევაში ამოქმედდება „მეწარმეთა შესახებ“ კანონით დადგენილი წესები პარტნიორთა საერთო კრების მოწვევისა და მუშაობის შესახებ, და ა.შ.

ხელმძღვანელობა, წარმომადგენლობა

საზოგადოების ხელმძღვანელობა ხორციელდება დირექტორის მიერ. დირექტორი საზოგადოების ხელმძღვანელობას ახორციელებს ერთპიროვნულად. საზოგადოების წარმომადგენლობითი უფლებამოსილება ეკისრება საზოგადოების დირექტორს.


მართვის სტრუქტურა

საწარმოში შინაგანაწესი შემუშავებული და დამტკიცებულია კანონმდებლობის მოთხოვნათა შესაბამისად. შინაგანაწესის მიზანია საწარმოს წესდებით განსაზღვრული ფუნქციების სრულყოფილად განხორციელება. განმარტებულია სამუშაო დროის და პირობების, მუშაკთა უფლებების, მოვალეობების და პასუხისმგებლობების შესახებ.

ყველა სტრუქტურული ერთეულის და თანამდებობის მიხედვით მომზადებულია თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები, რომელიც თითოეული თანამშრომლის სამოქმედო გეგმაა. დირექტორი საზოგადოების მართვას ახორციელებს ქვემოთ მოცემული სტრუქტურის მეშვეობით.



შპს "M-სერვისი"
2024წ



საქმიანობის მიმოხილვა

შპს „M- სერვისი“-ს საქმიანობის საგანს წარმოადგენს :

შპს „M-სერვისი“ რეგისტრაციის დღიდან ანხორციელებს მომსახურებას და სავაჭრო საქმიანობას.მათ შორის სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენა და რეალიზაცია საბითუმოდ და საცალოდ. აღნიშნული საქმიანობის განხორციელებისათვის საწარმო სამკურნალო საშუალებებისა და მედიკამენტების შეძენას და რეალიზაციას ახორციელებდა როგორც რეზიდენტ ასევე არარეზიდენტ კომპანიებთან თანამშრომლობით.

საწარმო ასევე ეწევა მომსახურებას, კერძოდ, მედიკამენტების რეგისტრაცია, სასაწყობე-საიჯარო, აუტსორსინგის, სარეკლამო და კლინიკური კვლევების მომსახურება, რაც თავის მხრივ მოიცავს სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოში, საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ, აგრეთვე კლინიკური კვლევებისა და საპრომოციო მომსახურებას.

თავი II – საზოგადოების განვითარების პერსპექტივები

საზოგადოების განვითარების პერსპექტივებია:


- სასაწყობე მეურნეობის გაფართოება.
- საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით ახალი კომპანიების დაფუძნებაში მონაწილეობა.
- მომსახურების ხარისხის ამაღლება მუდმივი განვითარების პარალელურად;
- საზოგადოების შემოსავლების გაზრდა

თავი III - განვითარების სფეროში ჩატარებული

ღონისძიებების მიმოხილვა

შემდგომი განვითარებისათვის შპს „M-სერვისი“ მშობელი კომპანიისაგან (სს „კომპანია მედინსერვი“) იღებს ინვესტიციებს:

სათაო ოფისიდან მიღებული ინვესტიცია 2019-2024 წ



შპს „M-სერვისი“ ვითარდება დინამიურად, აუმჯობესებს მომსახურების ხარისხს, ეცნობა ფარმაცევტულ სფეროში მიმდინარე სიახლეებს, ნერგავს მათ პრაქტიკაში, ანხორციელებს სასაწყობე მეურნეობის თანამედროვე ტექნიკური და პროგრამული ბაზის დანერგვას.

2011 წელს შეძენილ იქნა მიწის ნაკვეთი, რომელზედაც აშენდა საოფისე და სასაწყობე დანიშნულების შენობა თანამედროვე GDP ევროსტანდარტების შესაბამისად, რომელიც გათვალისწინებულია როგორც მშრალი შენახვის, ასევე სამაცივრო პროდუქციისათვის.

რამაც მოგვცა საშუალება გაგვეზარდა საქმიანობის მოცულობები და თავისუფალი საწყობებით გაგვეწია სასაწყობე - საიჯარო მომსახურება ტემპერატურული რეჟიმების დაცვით.

2016 წელს სადისტრიბუციო პრაქტიკის („GDP“) მოთხოვნების განხორციელების ფარგლებში შპს „ცენტრალ DPD“-ს ვარშავის ოფისიდან მოწვეულმა სპეციალისტებმა განახორციელეს საბითუმო საწყობების აუდიტი-შეფასება, გაგვიწიეს კონსულტაცია საჭირო ცვლილებების განსახორციელებლად GDP მოთხოვნებთან თანხვედრის უზრუნველსაყოფად და GDP სწავლება - ლექცია ევრო კავშირის 2011/62 დირექტივის სახელმძღვანელო პრინციპები და სამედიცინო პროდუქციასთან დაკავშირებული GDP სახელმძღვანელო პრინციპების ადამიანის მიერ გამოყენების შესახებ 2013/C68/01.

ამ კუთხით საზოგადოების მუდმივი განვითარების პარალელურად კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ლოჯისტიკის სპეციალისტი რამოდენიმეჯერ იქნა მივლინებული უკრაინაში(კიევი) „ვიალეკი“-ს მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე GDP-ის ახალი სტანდარტების მოთხოვნებისა და მიღებული რეკომენდაციების სრული გათვალისწინებით ჩვენს მიერ შემუშავებულ იქნა არსებული სასაწყობო მეურნეობის რეკონსტრუქციის პროექტი, რომელიც ითვალისწინებს 900 კვ.მ ფართის მიშენებას, რათა დაცული იქნას სრული ციკლი პროდუქციის მიღებიდან(ჩამოტვირთვა, საკარანტინო ზონა,დასაწყობება, დახარისხება, შეფუთვა და ა.შ) მის გაცემამდე.





თავი IV -სოციალური და დასაქმების საკითხები


საწარმოს ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვანია მომუშავე პერსონალის კვალიფიკაცია. წინასწარი შერჩევის პროცესის გავლის შემდეგ, პერსონალთან მუშაობა იწყება მიღების პირველივე დღიდან.

პირველ რიგში, ვაცნობთ შიგაგანაწესს, თანამდებობრივ ინტრუქციას, კანონმდებლობით გათვალისწინებულ იურიდიულ და საგადასახადო მოთხოვნების ნიუანსებს, უსაფრთხოების წესებს, ამის შემდეგ, მათი სამსახურში მიღება ხდება საგამოცდო ვადით.

საზოგადოება თანამშრომლებს უფინანსებს სამედიცინო დაზღვევის პოლისს კორპორატიული დაზღვევის სახით.

სამუშაოს შესრულება ხორციელდება შრომის კოდექსის მოთხოვნების პირობების სრული დაცვით. შრომის კოდექსით და შიდა განაწესით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის, განსაზღვრულია პასუხისმგებლობა - გაფრთხილებიდან განთავისუფლების ჩათვლით.

საზოგადოება უზრუნველყოფს თანამშრომლებისთვის სისტემატიურ ყოველთვიურ ანაზღაურებას შეფერხებების გარეშე და ზრუნავს მათ კვალიფიკაციის ამაღლებაზე.



თავი V – საქმიანობის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები
ფინანსური შემოსავლები საანგარიშო პერიოდში:

ფინანსური შედეგები საანგარიშო პერიოდში	2024 წელი	2023 წელი
საოპერაციო შემოსავლები	3 757 435	4 009 298
სხვა შემოსავლები	290 788	598 911
სულ შემოსავალი	4 048 223	4 608 209
მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	(3 419 493)	(3 839 854)
სახელფასო ხარჯები	(406 077)	(461 817)
ადმინისტრაციული ხარჯები	(422 609)	(423 754)
სხვა ხარჯი	(53 928)	(31 853)
სულ ხარჯი	(4 302 107)	(4 757 279)
საანგარიშო პერიოდის შედეგი	(253 884)	(149 070)


საზოგადოების 2024 წლის ფინანსური მდგრალობის მაჩვენებლები:

ლიკვიდურობის კოეფიციენტი	=	მიმდინარე აქტივები მოკლევადიანი ვალდებულებები	=	$\frac{2\,637\,344}{1\,730\,070}$	=	1.52
სწრაფი ლიკვიდურობის კოეფიციენტი	=	მიმდინარე აქტივები-მარაგები მოკლევადიანი ვალდებულებები	=	$\frac{8\,410}{1\,730\,070}$	=	0.005
მოგება საკუთარ კაპიტალზე	=	წმინდა მოგება საკუთარი კაპიტალი	=	$\frac{0}{6\,811\,323}$	=	0.00

2024 წლის აქტივების გამოყენების კოეფიციენტები:

აქტივების ბრუნვა	=	შემოსავალი რეალიზაციიდან სულ აქტივები	=	$\frac{3\,757\,435}{8\,550\,225}$	=	0.44
ძ.ს. გამოყენების ინტენსივობა	=	შემოსავალი რეალიზაციიდან ძ.ს. ღირებულება	=	$\frac{3\,757\,435}{5\,847\,155}$	=	0.64

შპს „M-სერვისი“-ის შემოსავალი შედგება საოპერაციო და არასაოპერაციო შემოსავლებისგან ქვემოთ მოცემულია საოპერაციო საქმიანობიდან ამონაგების დინამიკა წლების მიხედვით:



თავი VI - გარემოს დაცვა და ნარჩენების მართვა

შპს „M- სერვისი“-ს საქმიანობის სფეროდან გამომდინარე არ ხდება გარემოზე რაიმე ტიპის მავნე ზემოქმედება ან/და მავნე ნარჩენების დაგროვება. რეალიზაციის პროცესში მედიკამენტების და სხვა პროდუქციის გასაცემად ვიყენებთ ბიოდეგრადირებადი მასალისაგან დამზადებულ შესაფუთ მასალას, პარკებს, ყუთებს და ხის პოდონებს.

თავი VII - ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საწარმოს საქმიანობის განხორციელებისთვის მნიშვნელოვანია რისკის მართვა. ყველა ობიექტზე ვითვალისწინებთ საქმიანობასთან და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ რისკებს.

ჩვენთვის რისკის მართვის მთავარი ამოცანაა რისკების იდენტიფიკაცია და საპასუხო ღონისძიებების გატარება. რისკის მართვის საშუალებით ვავლენთ პოტენციური დადებითი, თუ უარყოფითი ფაქტორები, რა გავლენას ახდენს საწარმოს საქმიანობაზე.

მმართველობითი ანგარიშგების დამტკიცება

შპს „M-სერვისის“ დირექტორმა მმართველობითი ანგარიში დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2025 წლის 27 ივნისს.

დირექტორი:

თამაზ დვალისვილი

თარიღი: 27.06.2025 წ.

